№ 125 ივნისი 17, პარასკევი 1888 ივნისი 17, პარასკევი № 125

# ივერია

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1888 1877—1888

**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

— ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

გაზეთი „ივერია" პირველ ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მ. 50 კ.

ქ. გორი.

ახლად აშენებულს თეატრში ტფილისის ქართულის დასის არტისტები გამართავენ ორს წარმოდგენას.

კვირას, 19 ივნისს, წარმოდგენილი იქნება:

I

ციმბირელი

კომედ. 4 მოქმ., თხზ. ა. ცაგარლისა.

II

დივერტისმენტი

ორშაბათს, 20 ივნისს, წარმოდგენილი იქნება:

I

ეხლანდელი სიყვარული

კომედ. 4 მოქმ., გადმოკ. ვ. აბაშიძის მიერ.

II

ბაიყუში

ფარსი 2 მოქმ., ავ. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ლეონიძისა, თამაროვისა; ბბ. აბაშიძე, ყიფიანი, ავქ. ცაგარელი, მაქსიმიძე, ი. ცაგარელი, კავთელი და სხვ.

დასაწყისი 8 1/2 საათზე.

ტფილისი, 16 ივნისი

გუშინდელს მეთაურში ის აზრი წარმოვსთქვით, რომ დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა ევროპისა გამორკვეული არ არის და დაბეჯითებით არავინ იცის, საითკენ გამოაბამს ყურს პოლიტიკას ახალი იმპერატორი გერმანიისა. სხვა-და-სხვა მწერლობა და სხვა-და-სხვა დასი სულ სხვა-და-სხვას ამბობენ და ერთს გადაწყვეტილს აზრზე ვერ დამდგარან, და ე'ს გარემოება კიდევ უფრო აძნელებს ევროპიულ საზოგადოების მდგომარეობას, რადგანაც ევროპის თავ-გადასავალი ამ ჟამად იმაზეა დამოკიდებული, თუ საითკენ დასწევს ვილჰელმ მეორე სასწორს პოლიტიკისას. ფრიდრიხის გამეფებამდე ევროპა ორს ბანაკად იყო გაყოფილი. გერმანია, ავსტრია და იტალია ერთსა და იმავე პოლიტიკას მისდევდნენ, რომელიც სრულიად არ ეთანხმებოდა რუსეთისასა და საფრანგეთისას. ის სამთა კავშირი მოწადინებული იყო აელაგმა საფრანგეთი და რუსეთისათვის გზა შეეკრა ბალკანის ნახევარ კუნძულზე. ამიტომაც იმ სამთა კავშირისათვის წინააღმდეგობა უნდა გაეწია ორს ძლიერს სახელმწიფოს: რუსეთსა და საფრანგეთს. გერმანიამ და ავსტრიამ კარგად იცოდნენ და კიდევაც იციან, რომ რუსეთი და საფრანგეთი იმდენად ძლიერნი არიან, რომ სამთა კავშირსაც არ შეუშინდებიან, თუ ვინიცობაა საქმე ძალაზე მიდგა. აგრეთვე ისიც იცოდნენ, რომ კავშირი რუსეთსა და საფრანგეთს შორის მოსახერხებელია, თუ რომ ერთი, ან მეორე როგორმე არ დააკმაყოფილეს და რომ უამისოდ სახელმწიფოთა შებრძოლება ყოვლად უეჭველი და აუცილებელია. თუ როგორმე რუსეთი, ან საფრანგეთი დააკმაყოფილეს, მაშინ არც ერთი მათგანი საომრად თავს არ გაიწირავდა, სამთა ძლიერ სახელმწიფოთა შემხედვარე. ამ შემთხვევაში, რაკი საქმეს თავიანთ სასარგებლოდ მოაგვარებდნენ, გერმანია და ავსტრია ომიანობას არ ისურვებდა, რადგანაც საგანი იმათის პოლიტიკისა მიღწეული იქნებოდა მშვიდობიანი'ს საშუალებით.

ეხლა უნდა ვიკითხოთ, ვისი დაკმაყოფილება უფრო უნდა ეადვილებოდეს გერმანიას, რუსეთისა თუ საფრანგეთისა? ეჭვს გარეშეა, რომ დღევანდელს მმართებლობას გერმანიისას აზრადაც არ მოუვა საფრანგეთის დაკმაყოფილება, რადგანაც საფრანგეთის დაკმაყოფილება გერმანიას შეუძლიან მხოლოდ ერთის-ღა საშუალებით, სახელდობრ ელზას-ლორენის დათმობით. მაშასადამე, გერმანიას ისევ რუსეთის იმედი უნდა ჰქონოდა იმ ანგარიშით, რომ რუსეთი და ავსტრია მოერიგებინა და ამ ორს სახელმწიფოს ერთმანეთისათვის ანგარიში გაეწმინდათ. ეს საქმე რომ ამ რიგად მოაწყოს გერმანიამ, მაშინ ომი სრულიად საჭირო არ იქმნება, რადგანაც მარტო საფრანგეთი ვერ იკისრებს ბრძოლის ველზე გამოსვლას, იმიტომ რომ თითქმის მთელი ევროპა იმისი მოწინააღმდეგე იქნება. მართალია, ეს საქმე მეტად რთულია, მაგრამ გერმანიას ყოველივე ღონის-ძიება უნდა ეხმარნა, რომ როგორმე რუსეთის გული მოეგო. ამიტომაც იმპერატორმა ვილჰელმ მეორემ, ავიდა თუ არა სამეფო ტახტზე, დიდს მთავარს ვლადიმერ ალექსანდრეს უთხრა, რომ მე მსურს რუსეთთან მეგობრობა დავიცვა და შემთხვევას ვეძებ, რომ ხელმწიფე იმპერატორს ჩემი გულითადი წადილი გამოვუცხადოვო. ამ ამბავმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა რუსულს მწერლობაზე, რადგანაც რაკი გერმანია რუსეთთან კავშირს და მეგობრობას განამტკიცებდა, მაშინ საფრანგეთი გრინტსაც ვერ დასძრავდა გერმანიის წინააღმდეგ და, მაშასადამე, მშვიდობიანობაც დაცული იქნებოდა. რამდენადაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ამბავმა რუსეთის მწერლობაზე, იმდენად ცუდი ზედ-მოქმედება იქონია საფრანგეთში. საფრანგეთის გაზეთები თითქმის ერთ-ხმად გაიძახიან, რომ ვილჰელმის გამეფება კარგს არაფერს მოუტანს საფრანგეთსაო. მართლაც-და არც ერთის სახელმწიფოსათვის ისეთი საძნელო არ არის დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა, როგორც საფრანგეთისათვის. თუ ომი ასტყდა, ძნელი სათქმელია, ვინ გაიმარჯვებს და შეუსრულდება თუ არა საფრანგეთს დიდის ხნის წადილი და განზრახვა. თუ გერმანია რუსეთს მოურიგდა, მაშინ ევროპა ომს დიდის ხნით თავიდგან აიცილებს და საფრანგეთი იძულებული იქნება დიდის ხნით მაინც გულში ჩაიკლას თავისი მტკიცე განზრახვა. ორსავე შემთხვევაში საფრანგეთის მდგომარეობა მეტად ძნელი და მძიმე იქმნება.

საქმე, მაშასადამე, ის არის, შეასრულებს თუ არა გერმანია თავისს გულის წადილს, ესე იგი დააკმაყოფილებს თუ არა რუსეთსა, რომელმაც ეგოდენი მეცადინეობა იხმარა მშვიდობიანობის დასაცველად. ჯერ ამ საქმის შესახებ დაბეჯითებით არა ვიცით-რა, გარდა იმისა, რაც იმპერატორმა ვილჰელმმა აღიარა დიდის მთავრის ვლადიმერ ალექსანდრეს ძის წინაშე და რაც გუშინდელმა დეპეშამ გვაცნობა პეტერბურგიდგან. დეპეშამ ამბავი მოგვიტანა, რომ ხელმწიფე იმპერატორმა ინახულა იმპერატორ ვილჰელმის ელჩი გენერალი პაპეო. ამასთანავე დეპეშამ გვაცნობა, რომ დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე უმაღლესის ბრძანებით წავიდა მოსკოვის, ვარშავის და ვილნოს სამხედრო ოლქები'ს ჯარებისა და ციხე-სიმაგრეთა დასათვალიერებლადაო. ამ ამბის გამო'ს აბითაც გადაწყვეტილს ვერაფერს ვიტყვით, რადგანაც არ ვიცით, აქვს თუ არა რაიმე კავშირი გერმანიის ელჩის მოსვლას პეტერბურგში და დიდის მთავრის ვლადიმერის მოგზაურობას, ხოლო უეჭველია, რომ ხსენებული ამბავი ცოტად თუ ბევრად იმ გზის მაჩვენებელია, რომელსაც დღეს პოლიტიკა დასდგომა

## ახალი ამბავი

*** როგორც ჩვენს გაზეთშიაც იყო გუშინ მოხსენებული, აზნაური ვანო გაბაშვილი მოუკლავთ თათ-

## ფელეტონი

### ანტონია ბეზარეცი

(მოთხრობა მექსიკელთა ცხოვრებიდამ*)

დონ რობერტო მეტად სასიამოვნო კაცი იყო და დიდი სწავლა და ცოდნა არა ჰქონდა, თუმცა-კი კვეხულობდა, რომ ბაკალავრის ხარისხი მაქვსო. იმისი საყოველ-დღეო და საყვარელი სალაპარაკო საგანი ქალები იყო, რომლებზედაც დიდის თავ-ალებითა და ზიზღითა სჯიდა და ყოველთვის გამაცხარებდა ხოლმე. ძალიან გაუკვირდა, როცა ვუთხარი და ვურჩიე, რომ საჯაროდ ნუ წარმოსთქვამ შენს აზრს ქალებზე ორიზავეში, რადგან აქ ქალებს საზოგადოდ ძალიან პატივსა სცემენ და სათნოება და ქმრის ერთგულება უბრალო სიტყვებად არ მიაჩნიათ-მეთქი. ამაზედ ჩვეულებრივ ის მიპასუხა, რომ ძველი არაკიაო.

ცოტ-ცოტა მე შევამჩნიე, რომ ყმაწვილის კაცის ახირებული აზრები მარტო სიტყვები იყო და სხვა არაფერი და რომ თითონ დონ რობერტოსაც, რომელიც ჰკვიან და პატიოსან კაცად მიმაჩნდა, არა სჯეროდა ისა, რასაცა ჰქადაგებდა. ერთხელ, როცა რაღაზედაც შევეკამათე, მომაგონა, რომ თქვენსობაში პარიჟში ჩვეულებად იყო—ადამიანი ხალხს თავს ისე აჩვენებდა, მოიგანგებებდა ხოლმე, ვითომ არა ესმის და არა ეყურება-რაო. პარიჟში ხომ ჩვეულება დღეში ათა'ჯერ იცვლება, და მეც შევატყე, რომ გარეგნობით ახალგაზდას, ხოლო ნამდვილად-კი ზნეობრივად გახრწნილსა და დაუძლურებულს ქვეყანაში ეხლაც სხვა ჩვეულება შემოსულიყო. ეს ჩვეულება ის იყო, რომ ახალის დროის ადამიანი ყველაფერს უარსა ჰყოფდა, არა სწამდა-რა. ეს ორივე თვისება მხოლოდ გარეგნად იყო, გარეგანი ჩვეულება, თორემ ჩვენც ყველაფერი გვესმოდა და გვეყურებოდა და დონ რობერტოც არ იყო ყველაფრის უარ-მყოფელი, თუმცა ასე-კი აჩვენებდა ადამიანს თავსა.

ახალგაზდა პარიჟელს მთელს ქალაქში არავინა ჰყვანდა ნაცნობი, უსაქმური იყო და, რაკი თავაზიან და ყველაფერზედ დამყოლ მობაასედ მიგულა, ჩემი ხშირი სტუმარი შეიქმნა. ჰხედავდა, როგორ ვახმობდი მცენარეებს, პატარა ცხოველებს როგორა ვჰკრიდი და მწერებს ნემსებზედ როგორ ვაგებდი და თითონაც მოიწადინა ბუნების გამომკვლეველად და გამომძიებლად ყოფნა. თან-და-თან რჩებოდა, იკურნებოდა და ამიტომ შეეძლო ჩემთან ერთად სიარული, როცა რომელსამე სოფელში მივდიოდი ხოლმე. მშვენიერს ადგილებსა და მწვანით შემოსილს მთებს აღტაცებაში მოჰყავდა ეს გულით გაქსუებული კაცი, რომელმაც ერთის თვის წინად გამომიცხადა, რომ ველარაფერი ვერ ამიძგერებს და ვერ ამიტოკებს გულსაო.

როცა კარგად მოღონიერდა, მე რამდენიმე ყმაწვილი კაცი გავაცანი და ამ დღიდგან დონ რობერტო მონაწილეობას იღებდა ყველა ნადირობასა, წვეულებასა და დღესასწაულში. ეს ვითომდა გულ-გაქსუებული კაცი ჩქარა გაერთო მექსიკანელ ახალგაზდებში და მთელს დროს იმათთან ატარებდა. იმის სამაგიეროდ, რომ მექსიკანელმა ყმაწვილმა კაცებმა ხართან ბრძოლა შეასწავლეს, რობერტომ თავის მხრივ პარიჟული მიხვრა-მოხვრა აჩვენა და აგრეთვე ასწავლა ახალი ცეკვა—ლანსიეს კადრილი, რომლითაც მთელი ქალაქი აღტაცებაში მოვიდა. ამ გვარად რობერტომ ძალიან თვალ-საჩინო კაცის ადგილი დაიჭირა ჩვენში. იმის წყალობით, რომ საფრანგეთის ელჩის ნათესავი იყო და აგრეთვე მფარველად მე ვყვანდი, ყმაწვილს კაცს დიდის სიამოვნებით იპატიჟებდნენ ორიზავეს ყველა ოჯახებში, და არამც თუ იპატიჟებდნენ, სცდილობდნენ კიდეც გასცნობოდნენ და იმის ნაცნობობა დიდს ბედნიერებად მიაჩნდათ. ერთი ჩემი ავადმყოფი ქალი ერთხელ ბევრს მელაპარაკა ჩემის თანამემამულის სილამაზეზე, იმის მშვენიერს თვალებსა, თმებსა, პაწია შავს ულვაშებსა და მარგალიტს კბილებზედ. ისიც-კი ეუცა, რომ აქამდის ვერ შემემჩნია რობერტის მოხდენილობა და მშვენიერება.

—ახ, ექიმო, რა ვქნა, ბრმა ხომ არა ხართ. მაშ გამომიტყდით, რომ გშურთ იმისი სიკოხტავე და იმიტომ ამბობთ, რომ არ შემიმჩნევიაო,—გამომეხუმრა.

მე არც თვალთ მაკლდა, არცა მშურდა, ხოლო იმ დრომდე-კი, აღვიარებ, არ მიმიქცევია ყმაწვილის კაცის გარეგნობისათვის განსაკუთრებული ყურადღება. მას შემდეგ, შევხედი თუ არა, დავათვალიერე და, უნდა მართალი ვსთქვა, ჩემი ავადმყოფი ქალი არა სტყუოდა, დონ რობერტო მართლაც-და ძალიან ლამაზი და მოხდენილი კაცი იყო.

ყველაზედ საუკეთესო მამულს დონ კარლოსისას ეწოდებოდა თეკილა და რომლისღაც იმის ცოლის ნათესავებს ეკუთვნოდა. მასპინძლის სტუმარ-მოყვარეობა და ალერსიანი დახვედრა დიდ-ძალს ხალხს იზიდავდა ამ ადგილას. ცოლ-ქმარნი ჩვეულებრივ ორიზავეში სცხოვრობდნენ, მაგრამ აპრილსა და მაისს ამ აგარაკში ატარებდნენ. აგარაკი მაღლობ ადგილზე იყო და ამიტომ ისეთი სიცხეები არ იცოდა, როგორც ბარად იცის ხოლმე. დონ კარლოსის მიერ მიპატიჟებულმა რობერტომ მთელი კვირა გაატარა თეკილში და ერთს საღამოს ცეკვის უფროსად იქმნა დანიშნული. ყმაწვილმა კაცმა ლანსიეს კადრილს გარდა, კოტილიონი გამართა და თავისთან ერთად დონა ანტონიას ათამაშებდა. ყველანი აღტაცებულნი იყვნენ ამ ქალ-ვაჟის სილამაზით და მეორე დღეს მთელს ქალაქს სალაპარაკოდ მხოლოდ ახალი სათამაშო კოტილიონი-ღა ჰქონდა. ორის დღის შემდეგ ჩემთან შემოვიდა დონ კარლოსი და შემოსვლისათანავე კოტილიონზედ ისეთის აღტაცებით დამიწყო ლაპარაკი, რომ როგორღაც არ მეჭაშნიკა. როცა ყურს ვუგდებდი, ჩემდა უნებურად მომაგონდა ჩემი და

*) იხ. „ივერია" №№ 121 და 124.

რებს ტფილისის ახლო, კრწანისისკენ, როცა საცოდავი ყმაწვილი კაცი წინ მოუძღოდა თურმე ცხენს და ჩამოდიოდა ღელეში, მარაბდიდამ მიმავალი. მკვლელებს გაცარცვა სდებიათ გულში და კიდეც გაუცარცვავთ. აი როგორ გვიამბო ვანო გაბაშვილის მოკვლის ამბავი მისმავე ახლო ნათესავმა: „კრწანისისაკენ რომ დაღმართს გადმოვდექიო—უთქვამს სასიკვდილოდ დაჭრილს,—ჩამოვხედი ცხენიდამ და ფეხით გავუძეხი წინა. გზა ცუდი იყო. საღამოს ჟამი იყო. ამ დროს შემომესმა ფეხის ხმა. გავარდა თოფი, მომხვდა გულში და დავეცი პირქვე. თათრები მომიახლოვდნენ და ერთმა ხანჯალი ჩამცა ზურგში პირქვე დამხობილს. უცბად შემომხსნეს ქამარ-ხანჯალი, მომჭრეს ჯიბე, რომელშიაც ორი თუმანი მქონდა სახარჯოდ, წაიყვანეს ცხენი და წავიდნენ“. პატარა ხანს უკან წამოსდგომოდნენ თავს ქალაქის ბიჭები, რომელნიც მარაბდას ყოფილიყვნენ სხვადა-სხვა სანოვაგის სასყიდლად და საცოდავს დაჭრილს იმათთვის ეამბნა ყოველივე. ქალაქის ბიჭები დაფაცურებულიყვნენ და მაშინვე ეპოვნათ ცხენი, რომელიც ღელეში დაებათ მკვლელებს და რომელიც საშინლად თურმე ჰიხვინებდა. ცხენი კარგი მატარებელი ყოფილიყო და, როგორც ამბობენ, იმიტომ არ წაუყვანიათ მკვლელებს, რომ მერე ვაი თუ ამ ცხენით გვიპოვნონო. ღონე გამოლეულს და სისხლისაგან დაცლილს ვანო გაბაშვილს ეთხოვნა კინტოებისათვის, რომ მადლი მოიხსათ და დამაფარეთ რამე, მცივაო. კინტოებს მოევლოთ, როგორც შესძლებოდათ. ერთ-ერთი შემჯდარიყო ცხენზედ და ჩამოჭრილიყო ქალაქში, შეეტყობინებინა პოლიციისათვის, მაგრამ პოლიციამ ავაზაკების კვალს ვერ მიაგნო ჯერ-ჯერობით. დაჭრილს მხოლოდ ნახევარ საათი-ღა ეცოცხლა. სიკვდილის წინად ეთქვა ერთის კინტოსათვის, რომელთაც თავი არ დაენებებინათ, ვიდრე პოლიცია არ მოსულიყო: შეატყობინეთ ჩემს ძმას სოსოს ქალაქში ჩემი ამბავი და ის მაპატრონებსო. ჩემი ძმა ვერაზე სდგას საკუთარს სახლებში. ნიშნად წაუღეთ აი ეს ოქროს საათიო, რომელიც ავაზაკებს ვერ შეეჩნიათ გაცარცვის დროს.

*** ტფილისის მეორე კლასიკურს გიმნაზიაში წელს გაათავა კურსი არა ერთმა ქართველმა, როგორც ამას წინად ჩვენ გვქონდა დაბეჭდილი შეცდომით, არამედ ორმა. ერთია დიმ. ტატიშვილი და მეორე მიხ. ჯაყელი, რომელმაც ამასთანავე მიიღო ოქროს მენდალი. გიმნაზიის მთავრობას უთხოვნია, საცა ჯერ არს, რომ სხვათა შორის ბ-ნს დიმ. ტატიშვილს მიეცას უნივერსიტეტში სტიპენდიაო. ამას გარდა გიმნაზიას მიუცია იმისთვის სამგზავროდ შესაწევარი 150 მან.

*** ამას წინად გვქონდა მოხსენებული, რომ წელს ტფილისის საქალებო გიმნაზიაში შეასრულა კურსი მე-7 კლასისა სამმა ქართველმა ქალმა, რომელთაც მე-8 კლასშიაც მოინდომეს დარჩენაო. ეხლა ამას დავუმატებთ, რომ წელს მერვე კლასის კურსი დაასრულა კიდევ ორმა ქართველმა ქალმა—ერთია ალექსანდრა ტურიევისა და მეორე—თარხნიშვილისა, სოფიო.

*** სოფელს თილეაში, გორის მაზრაში, ფრონის ხეობაზე ისეთი დიდი წვიმები ყოფილა, რომ სულ წაულეკნია მოსავალი. ხალხი ძალიან შეწუხებულია და არ იცის, რა ჰქნას, რომ ასე ხელ-ცარიელი დარჩა წრევანდელ მოსავალზედაო.

*** ქართლის ზოგიერთს სოფელში ძალიან გავრცელებულია აბრეშუმის ჭიის მოვლა. ბევრსა ჰყავს თურმე წელს ჭია სოფელს ტყვიავსა, მარანაში და ბევრგან კიდევ სხვაგან. ამინდიც კარგი დაუდგა წელს აბრეშუმის ჭიას და ძალიან კარგს აბრეშუმს მოიწევენო.

*** 14-ს ივნისს, მარჯვე განყოფილებაში, ტფილისის მოქალაქე მაქსიმე კოზლოვი დაითვრა და გაუფრთხილებლობის გამო გადმოვარდა თავისს სადგომის კიბიდგან. კოზლოვმა თავი გაიტეხა. დაზიანებული გაგზავნეს სავადმყოფოში და გარდაიცვალა 15 ივნისს. გამოძიება სწარმოებს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ქუთაისი. ქუთაისში და იმის არე-მარეში კაცის-კვლა, ჩხუბი და ყოველ ნაირი ავ-კაცობა ჩვეულებრივი არის. „ივერიაში“ რომ ავ-კაცობის ორიოდე მაგალითი იყო მოყვანილი, ეგ აქაურ ამბებთან სრულიად არაფერია. იმერეთში ისე ნადირობა, ძღეობა, ქორწილი არ გათავდება, რომ რამე უსიამოვნობა და უბედურება არ მოჰყვეს. ამაღლებას სოფ. ამაღლებასვე ძმამ—ნოშ. მესხმა მოკლა თავის ძმა სესიკო მესხი. ოჯახში ორი ძმა იყო. მამა აღარა ჰყავთ, მხოლოდ მოხუცი დედა დარჩათ და დები. ერთი ძმა გამოესალმა ამ წუთი-სოფელს, მეორეც გამოესალმება, ხოლო სხვა რიგად. ოჯახი, კარგი ოჯახი სულ უკუღმა დატრიალდა. ჯერ იყო და უფროსი ძმა ამ მესხებისა (კარგა ხანია) შემოაკვდა ვიღაც მოჩრაძეს—მოხუცს, სამოცის წლის კაცს, და ახლა ესენი დაიხოცნენ...

ამას წინად მედუქნემ მოკლა ნიჟარაძე, რომელიც იყო კარგა შეძლებული და ერთად-ერთი ოჯახის კაცი. იმათს ოჯახში გარდა ერთის მოხუცის მამისა და ქალების მეტი აღარავინ არიან... ქურდობა? ქურდობა ხომ საოცრად გახშირდა. მერე სადა? ქუთაისის მეზობლად—ჭომაში. აბულაძე მივიდა მშვენიერ ცხენით დათიაშვილთან დასაპატიჟებლად. საღამო ხანი იყო, ცხენს უნაგირი მოჰხადეს და სტუმარი სახლში შეიყვანეს. არ გასულა ორი საათი, რომ ცხენი მოიკითხეს, მაგრამ ცხენი თავის უნაგირიანად ზეცას აიღო თუ ქვესკნელში ჩაძვრა, ღმერთმა უწყის ღმერთს მარტო ღირსაც არავინ იცის (მას აქეთ ბარე ერთი თთვეა). ამ ამბის შემდეგ წვრილმანი ქურდობა იშვიათი არ არის ჭომაში: ქათამს, ბატს, ყველს, ტანისამოსს (წარსულს ხანში ერთის ქალისთვის ყველა ტანისამოსი, რაც-კი ჰქონოდა შკაფში, მოეპარა ქურდს) არა ჰზოგავენ და მშველელი-კი არსაიდგანა სჩანს.

სოფ. სიმონეთში მღ. კლდიაშვილი გაქურდეს. მიუხტნენ ავაზაკები, დაატანეს ძალა მოხუცს კლდიაშვილს, რომ ფული გექნება და მოგვეციო. ჯერ უარზედ დამდგარიყო, მაგრამ ბოლოს, როგორც ამბობენ, სამოცი თუმანი ფული და ნივთები წაღლოთ ქურდებს და წასულიყვნენ.

მღ. კაჭახიძეს მისცვივნიან ქურდები. აივანზედ ხმაურობა შეიტყო თურმე მოხუცმა და იმის გასაგებად, თუ რა ამბავია, გასულიყო აივანზე. ამ დროს სტაცეს ბოროტმა კაცებმა ხელი და პირზედ დაადვეს ცხვირსახოცი, რომ ყვირილი არ დაეწყო. მაგრამ შინაურებს მალე შეეტყოთ და ერთი შეილთაგანი გამოვარდნილიყო სახლიდგან. წაღებით ვერაფერი წაეღოთ, მაგრამ შეილს მოხუცის მღვდლისას, როგორც ამბობენ, სამს ადგილასა აქვს ჭრილობა. ერთი ჭრილობა საშიში არისო.

დიდებს თავი დავანებოთ. პატარებშიაც თავს იჩენს ქურდობა! მაგრამ ვისი ბრალია, ვინ უწყობს ხელს? ისევ დიდები. ქუთაისში თეთრ ხიდის მახლობლად პატარა დუქანია, რომელშიაც მედუქნეს უწყვია ძველი და ნახმარი წიგნები, ჰყიდის და კიდევაც ჰყიდულობს სხვისაგან ნახმარს წიგნებს. ეს ამბავი ზოგიერთს უზნეო ბავშვებს უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ. ეს ბავშვები სხვასა ჰპარავენ წიგნებს, მიაქვთ და ნემსის ფასად ამ დუქანში ჰყიდიან. სამ აბაზად რომ წიგნი ღირდეს, ორ შაურად, სამ შაურად ჰყიდიან მედუქნესთან. რა ენაღვლებათ ან გამყიდველს და ან მყიდველსა.

ერთის სიტყვით, პატარებმაც მიჰყვეს ხელი ამ საძაგელსა და საზიზღარს ხელობას. გასავალსაც ჰხედავენ მედუქნეებში, მეფურნეებში და სხვებში. წარსულს ხანში ერთს პატარა ქურდს ბროლის ჩაის სტაქნები მოეპარნა და თითო შაურად მეფურნესთვის მიეყიდნა.

ერთს მასწავლებელს პატარა, თორმეტ-ცამეტის წლის მოსამსახურე ჰყავნდა. მასწავლებელი სახლში არ იყო. ქალს ოც-და-ხუთ მანეთიანი ფული აელო, ყუთში შეენახა და დაეხურნა, მხოლოდ გასაღები შიგ დარჩენოდა, არ შეენახა. ბიჭს ეს ვალ-თვალნა და, როდესაც ქალი სახლიდგან გასულიყო, გაეხსნა ყუთი, ამოელო ფული და წასულიყო. ქალმა მალე მოიკითხა თურმე ფული, მაგრამ აღარ დაჰხვდა; აქათ ეცა, იქით ეცა, ვერაფერი გაიგო და ბოლოს ეჭვი ბიჭზედ მიიტანა. ჯერ უარი ეთქვა, მაგრამ, როდესაც ძალა დააყენეს, მაშინ გამოტეხილიყო. ფული დაეხურდავებინა, ერთი მანეთი-კი დაეხარჯა და დანარჩენი საღლაც მიწაში დაემალა.

ქსნის-ხეობა. ვგონებთ, რომ არც ერთი მხარე ჩვენის საქართველოსი არ იყოს ისე უკან ჩამორჩომილი, მივიწყებული და უპატრონოდ მიგდებული, როგორც ქსნის ხეობა. ეს ამოდენა მხარე, პატარ-პატარა გორაკებზედ და თითქმის მთის წვერებზედ გაშენებული, მოკლებულია ყოველ ნაირს სახსარს წარმატებისას. დღევანდლამდე ქსნის ხეობამდინ არ მოუღწევია განათლების მადლიანს სხივს; დღევანდლამდე ამ ხეობაში არ არსებობდა არც ერთი სასოფლო სასწავლებელი. ქსნის-ხეველების უცინათლოობით და უმეცრებით სარგებლობენ წურბელა ვაჭრები, რომლებიც საკმაოდ დაურიდებლად იწყებენ ჯიბეებსა. ვინ მოსთვლის ამ ვაჭატონების უსამართლო, გაიძვერულ და არა-სინიდისიერ მოქმედებას, მაგრამ ვინაა ამათი ხმის გამცემი. ამ ორის წლის წინად სამი სოფელი წინა აღუდგა იმათ მოქმედებას, შეჰკრა პირობა, რომ ახალგორელ ვაჭრებისათვის აღარ მიეწყოთ დაკვეთილი პური სომხურის ჩანახით (26 გირ.), არამედ სოფლურის ჩანახით (14 გირ.), და აღარც შეეშვათ თავიანთ სოფლებში სავაჭროდ. ამ ამბავმა დიდად ააღელვა ახალგორელი ვაჭრები და დუშეთსაც-კი გადიყვა-

---

იმისი ბაასი ამ ორის წლის წინად, როცა ის ფეხთ ქვეშ მიწის-ძვრას ვერა ჰგრძნობდა და მე-კი ხორულოს საშინელს მოთხრობასა ვკითხულობდი. მე მკაფიოთად მომესმა ხორულოს ყრუ გრგვინვა და გრიალი, როცა ჩემმა მეგობარმა მაცნობა, რომ მომავალს კვირასაც გვექნება ახალი კოტილიონი და ამიტომ სტუმრად გვეწვიეო.

— ანტონიას უნდა, რომ უეჭველად მოხვიდეთ, მითხრა დონ კარლოსმა.—გამომგზავნა და დამაბარა, რომ ყოველივე ხერხი იხმარე და აქკი მოიყვანე როგორმეო.

— განა მოთამაშე და მოცეკვავე ვაჟები აკლია?—დავეკითხე სიცილით.

— რა თქმა უნდა, რომ ვაჟებშიკი ნაკლებულობა არ არის, მაგრამ ანტონიას უნდა, რომ უეჭველად გნახოთ. იქნება ის უფრო უნდოდეს, რომ თქვენა ჰნახოთ ანტონია, ვინ იცის,—დაუმატა ხუმრობით.—ხომ იცით, ექიმო, რომ ჩემს ცოლს ისე უყვარხართ, როგორც ღვიძლს ქალს ეყვარება თავისი მშობელი მამა.

ამ უკანასკნელს სიტყვებზე გაოცებით შევხედე ჩემს მეგობარს, როგორც არა ერთხელ შემიხედნია. საბედნიეროდ დონ კარლოსმა ჩემი გაოცება ვერ შეამჩნია. იგი ჩემზე ხნიერი და უფროსი იყო და მაინც, შემხვდებოდა თუ არა, მაშინვე მომიყვებოდა ხოლმე: ანტონიას ღვიძლს ქალსავით უყვარხარო. ის-კი ავიწყდებოდა, რომ თითონ...

— მაშ მოხვალთ?—მკითხა სტუმარმა, ფეხზედ წამოდგა და ხელი გამომიწოდა.

— მერე-და რა გავაკეთო თქვენსა?—ვუპასუხე ყოყმანით.—ყმაწვილ-კაცობა მარტო მხიარულებისა და გართობის ზრუნვასა და ფიქრშია. ასეც უნდა იყოს. მე-კი ჩემი საქმეც ბევრი მაქვს და მაგისათვის არა მცალიან.

— დავიჯერო არ გესიამოვნებათ იმის ნახვა, თუ როგორ ირთობს ახალგაზდობა თავსა? მე-კი ძალიან მესიამოვნება ხოლმე-და.

— იმიტომ-რომ თქვენც ახალგაზდა ხართ.

— თავით და გულით დიახაც რომ... მაშ მოხვალთ, ექიმო?

— არა.

დონ კარლოსს გაშლილს, და პატიოსანს შუბლზედ უსიამოვნება დაეტყო. დამიწყო თხოვნა და რომ ჰნახა, არაფერი სჭრიდა და მაინც უარის ნიშნად თავს ვიქნევდი, დაუმატა:

— მაშ რაკი ეგრეა, თითონ ანტონია გეწვევათ მოსაპატიჟებლად; ის უფრო ადვილად დაგიყოლიებსთ.

გამოცდილებით ვიცოდი, რომ ანტონიას თხოვნას ვერ გავუმაგრდებოდი, ვერ გავუჯიუტდებოდი, და დავყევი დონ კარლოსს, რომ ყმაწვილი ქალი ჩემთან მოსვლით არ შემეწუხებინა. როცა დონ კარლოსი გამომემშვიდობა და წავიდა, ვეცდილობდი მწუხარე ფიქრები განმეფანტა, მაგრამ ამაოდ. იმ თავითვე წესად და ჩვეულებად მქონდა, რომ ჩემის მახლობელის საქმეებში არ გავრეულიყავი, თუ ამ საქმეს ჩემს ხელობასთან არა რაიმე დამოკიდებულება არა ჰქონდა-რა. თუმცა ასე იყო, მაინც ზოგიერთი ცნობები, რომელიც ჩემმა მეგობარმა გარდმომცა, მოსვენებას არ მაძლევდა. მე ისე მეგონა, რომ ეს მშვენიერი კაცი ნდობით დაბრმავებულა, საფრთხეს ვერა ჰხედავს და თითონვე ეგებება წინა-მეთქი. დიდად მიყვარდა დონ კარლოსი და იმის მოსალოდნელს უბედურებას რომ არ შევეშფოთებინე, შეუძლებელი იყო. მართალი რომ ვსთქვა, ჩემის ეჭვიანობით შეურაცხყოფას ვაყენებდი ანტონიას. ორის წლის განმავლობაში მშვენიერს ქალს ისე ეჭირა თავი და ისე პატიოსნად იქცეოდა, რომ ცილაც,—და ცილი-კი იშვიათი ამბავი არ იყო ორიზავის მშვიდობიანს ხეობაზედ,—ცილიც არ მიჰკარებია დონ კარლოსის მეუღლის სახელსა. მაშ რაღა თქმა უნდა, რომ ჩემი შიში და ეჭვი უსაფუძვლო უნდა ყოფილიყო. საქმეს ჩავუჯექი და ჩქარა მოვიშორე შემაწუხებელი ფიქრები. პაწია ჩიტების მიერ გაკეთებულის ბუდის გასინჯვამ ისე გამიყოლია, რომ დონ კარლოსიც დამავიწყდა, ანტონიაც, ხორულოში მომხდარი უბედურებაც და აღარა მახსოვდა-რა, როცა ჩემთან შემოვიდა ჩემი თანამემამულე და უწინდელი ავადმყოფი.

— ამ წუთას მოვრჩები-მეთქი,—ვუთხარი და თან მცენარეების პაწია შტოებსა ვსთვლიდი, რომლითაც ჩიტუნიები ბუდეს იშენებენ.

— ხუთის წუთის შემდეგ, თავი მაღლა რომ ავიღე, ჩემი სტუმარი ღრმად დაფიქრებული იჯდა და სახე გაჰფითრებოდა.

— რა დაგმართვია? ძველებურმა სატკივარმა მოგიარა?

—არა, ექიმო, თქვენის წყალობით სრულებით განვთავისუფლდი სატკივრისაგან.

— ავადმყოფის შეხედულობა-კი გაქვს-და. დაიღალე?

— დავიღალე! იქნება...

ერთს წუთს გაჩუმდა და შემდეგ დაიწყო ლაპარაკი სან-კრისტოვალის გორაზედ, რომელიც თეკილას ახლოსა მდებარეობდა. უტეხი ტყე ენახა ამ ალაგას და ისეთის შეხამებულის სიტყვებით აღმიწერდა, რომ ყურები ვცქვიტე. სან-კრისტოვალიდგან დონ კარლოსის მამულზე გადავიდა, მერე დონ კარლოსზე ჩამოაგდო სიტყვა, მხიარული ხასიათი უქო და იქვე შენიშნა, რომ თქვენი მეგობარი სამოც-და-ათის წლისაო, ყმაწვილს კაცობას ზნედა სჭირს ყველაფრის გაზვიადება და ამიტომ შეცდომა გაეუსწორე რობერტსა. ამის შემდეგ დაასახელა დონა ანტონია, რასაც დიდი ხანია ველოდი. ანტონიაზედ დიდის თავ-დაჭერით მოიხსენია, რომ ლამაზი და ჭკვიანია, დონ კარლოსი ბედნიერი ქმარიაო. ხოლო ამ საგანზე ბაასი არ შეუწყვეტია. დაიწყო მომავალს წვეულებაზედ ლაპარაკი და გამოცოცხლდა, თვალები გაუბრწყინდა, სახე წამოუწითლდა. შემდეგ, რაკი შემამჩნია, რომ თვალყურს ვადევნებდი, გამომეთხოვა და წავიდა. მე კვლავ ფიქრებმა შემიპყრეს, ისევე, როგორც დონ კარლოსის წასვლის შემდეგ.

ამაოდ ვსცდილობდი გამომეცნო, რა ჰქონდა, რა უტრიალებდა გულში რობერტს. ჯერ ჩუმად იყო, მერე განცხოველებით ლაპარაკი დაიწყო, შემდეგ დაღონდა და ბოლოს გამოცოცხლდა. ეს ნიშნები საშიშ, სა-

ნა სამართლის საძიებლად, მაგრამ ამაოდ: სამართალმა შეიწყნარა გლეხების საჩივარი. ვაჭრები მაინც არ დასცხრნენ და არ-კი რა დააცხრობდათ, როდესაც იმათი ზარალი ცხადი იყო: პურს 14 გირვანქიანის ჩანახის ფასობაზედ იკვეთავდნენ, იღებდნენ 26—27 გირვანქიანითა. სამართლით რომ ვერა გააწყეს-რა, ადგნენ და სოფლელებივით შეკრეს პირობა: „ვინც მავან და მავან სოფლელს მიჰყიდდა რასმე, 25 მანეთი ჯარიმა უნდა გადაეხადნა“. ამას ჯანი გავარდეს, საწყალ იმ სოფლელებს შარა გზაზედაც-კი აღარ უშვებდნენ და ვინ იცის, თუ რა უშვერის სიტყვით ჰლანძღავდნენ... ამათს მოქმედებას დაუმატეთ სოფლის მოხელეებისა და კანცელარიის მწერლების უკანონო და თავ-გასული მოქმედება და თვალ-წინ დაგებადებათ არა სანატრელი ყოფა-ცხოვრება ქსნისხეველებისა.

თუმცა მთავრობა კარგა ხანია ჰკრეფავს სკოლის ფულსა, კომლზედ სამს აბაზს, მაგრამ დღემდე სკოლა არსადა სჩანს. სოფელს ახალგორში თითქმის ეს ორი წელიწადია დანიშნულია მასწავლებელი და სკოლის შენობა-კი არსად არის. მასწავლებელი შეუმწყვდევიათ სომხის ეკლესიის საყარაულო ოთახში, ჩაუბარებიათ ოთხიოდე ახალგორელივე სომხის ყმაწვილი და ამით გაუთავებიათ საქმე. სკოლას ინახავს შვიდი სამამასახლისო და სკოლაში-კი დღემდე ამ ოთხიოდე ყმაწვილის მეტი არავინა სწავლობს. მეორე ადგილი სკოლისათვის დანიშნულია ქსნის ხეობის შუაგულ ადგილას, სოფ. მონასტერში. ურიგო არ იქნება, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ მიაქციოს ამ მხარეს ყურადღება, გაუწიოს წინამძღოლობა, აჩვენოს გზა და კვალი და ჩააკონოს სწავლა-განათლების საჭიროება. დასჭირდება მხოლოდ წევრის, ანუ აგენტის გაგზავნა და ამითი-კი დიდს სარგებლობას მოუტანს მთელს მხარეს.

ვისაც უვლია ქსნის ხეობაში ესრედ წოდებულ მონასტრის გზით, უეჭველია სოფ. წარქოლს პირდაპირ, მდ. ქსნის მარჯვენა კიდეზედ, შენიშნავდა დიდრონ-დიდრონ კლდეებსა. ეს კლდეები შორიდგან უბრალო და უსარგებლო კლდეებად მოსჩანს, მაგრამ, როგორც ამბობენ, მაღნის-ლობი არის. ამ ნაირის კლდეებით მოფენილია წარქოლი და ყანჩაეთი. სოფელს ყანჩაეთში კიდევ ერთი სიმდიდრეა, რომლის არსებობა არავინ იცის. მე მოგახსენებთ ამ სოფლის აბანოს წყალზედ. სოფელი ყანჩაეთი დუშეთის მაზრის პატარა სოფელია და მდებარეობს ქსნის მარჯვენა კიდეზედ. ეს პატარა სოფელი შემკულია ყველაფრით, რაც-კი გლეხ-კაცისათვის საჭიროა. აი, ამ სოფელში არის აბანოს წყალი, რომელზედაც სამკურნალოდ ბევრი არავინ დაიარება, გარდა თვით ახლო-მახლო სოფლელებისა, რადგან, როგორც მოგახსენეთ, არავინ იცის იმისი არსებობა. უმეტესად დედიან ქარებით ავადმყოფნი. ყოფილა მაგალითები, რომ ურმით მოტანილი დახუთულ-დაკრუნჩხული ავადმყოფი რამდენიმე ბანების შემდეგ განთავისუფლებულა და ისე წასულა სახლში. ეს ამისთანა აბანოს წყალი უპატრონოდ არის მიგდებული და იმის ახლოს ერთი ქოხიც-კი არ არის თავის შესაფარებლად.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** 4 ივნისს დეპუტატთა პალატას კრება ჰქონდა და არჩევდა ახალს კანონ-პროექტს, რომელიც მადნებში მომუშავე დედაკაცებისა და მამაკაცების ჯაფას შეეხებოდა. კანონ-პროექტის მომხსენებელი ამტკიცებდა, რომ უნდა მოისპოს ღამ-ღამე მუშაობა მცირე-წლოვანთა, გასათხოვარის ყმაწვილის ქალებისა და საზოგადოდ დედაკაცებისა, რა სნისაც უნდა იყვნენ ეს დედაკაცებიო. ამის გარდა უნდა შემცირდეს თვით მუშაობის დროცაო. ამაზე ჩამოვარდა ცხარე ბაასი და კრება ორ დასად გაიყო: ერთნი ადგნენ მველს მომღვრებას, რომ მთავრობა არ უნდა ერეოდეს ერის საკუთრივ ცხოვრებაშიო, ხოლო მეორენი ამტკიცებდნენ, მთავრობა მოვალეა, რომ დაიცვას მსარე სუსტისა და უძლურისა, დაჩაგრულისა და ასე თუ ისე შეუმსუბუქოს ყოფა-ცხოვრება შესაფერის კანონების გამოცემითა და შემოღებითაო. გამარჯვება ამ კრებაზე არც ერთს დასს არ დარჩენია: ერთმანეთს დაუთმეს ცოტ-ცოტა და მშვიდობით მორიგდნენ. მცირე-წლოვანთა და ყმაწვილ ქალთა მუშაობა აღკრძალულ იქმნა, ხოლო დედაკაცთა მუშაობა არ აღკრძალა პალატამ.

**ინგლისი.** ინგლისში საერო არჩევანებზე ლიბერალებმა კვლავ გაიმარჯვეს. გაიმარჯვეს იქ, სადაც გამარჯვების იმედი უფრო დისიდენტებსა ჰქონდათ. დისიდენტს ჩემბერლენს დიდი იმედი ჰქონდა, წინადვე კვეხულობდა გამარჯვებას, მაგრამ იმედმაც და კვეხნამაც ამაოდ ჩაუარა.

— „Daily News“-ი ამბობს, რომ ამ არჩევანების შედეგი კარგი იქნება ოპოზიციის საპარლამენტო პოლიტიკისათვისაო. თუ ამის შემდეგ კიდევ დილონს ციხე გადაუწყვეტეს, მაშინ დასანდობი აღარ იქნება აღარც მთავრობა და აღარც იმისი მომხრენიო. ასეთი საქციელი ტორიების სამინისტროს მიერ შეურაცხყოფა და გაბიაბრუება იქნება არა მარტო ლიბერალების ყველა პრინციპებისა, არამედ კაცობრიობისა და სამართლიანობისაცაო. დილონი კეთილშობილი მამულიშვილია და პატრიოტი. იმისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა ბევრად უფრო პატივსაცემია, ვიდრე მოღვაწეობა ბალფურისა. ესლა სდევნიან ირლანდიის მომხრეებს და სდევნიან ერის სურვილის წინააღმდეგ. ეს სურვილი ერმა უკვე გამოაცხადა განონიერის გზით. ამიტომ პარლამენტმა ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს, რომ აღარ გამეორდეს ასეთი უმგზავსოებაო.

**გერმანია.** ჯერ არ ვიცით, როგორი იქნება საშინაო პოლიტიკაო,—ამბობენ გერმანიაში.—უთუოდ ამას ცოტა გვიან გავიგებთო, რადგანაც ჯერ არა სჩანს რა იმ რესკრიპტიდამ, რომლითაც ახალმა იმპერატორმა მიჰმართა თავის ერს. რაიცა შეეხება საგარეო პოლიტიკას, „არც ერთი გერმანიის იმპერატორი არ გამოუდგება სხვა პოლიტიკას, თუ არ პოლიტიკას მშვიდობიანობისას, მაგრამ ისეთს პოლიტიკას, რომელიც ეთანხმებოდეს გერმანიის ღირსებას და არ დაამცრობდეს იმის სახელს. მით უფრო უნდა ველოდეთ ასეთს პოლიტიკას, რომ იმპერატორის პირველ მინისტრად არის თავადი ბისმარკიო“. ამას ამბობს „National Zeitung“-ი. „Yossische Zeitung“-ი ამბობს: ძე დიდის წამებულისა, რომელსაც ყველა კეთილშობილურისა და მაღლის საქმისათვის გული ერჯოდა, მით უფრო მალე მოიპოვებს ერის სიყვარულს, რაც უფრო მალე კიდება დაამტკიცოს საქმით, რომ იგი არის ხორცი ხორცთაგან და სული სულთაგან იმ ფრიდრიხისა, რომელზედაც ისეთის გულ-მტკივნეულობით ლაპარაკობს თავის რესკრიპტშიო.

— პუტკამერის მაგივრად, როგორც ისმის, დანიშნავენ შინაგან საქმეთა მინისტრად გრაფ ცედლიცსა, რომელიც მალიან დიდი კონსერვატორიაო.

— მღივს ერთხელ, როცა ახალი იმპერატორი ეთხოვებოდა საუკუნოდ თავის მამას, შვილს ცრემლები მოუვიდა და ქვითინი ველარ დაიჭირა თურმე. ისიც-კი მართალია, რომ ცრემლებს ბევრნი სხვანიც ვერ იჭერდნენ და ზოგიერთი მოხუცებულნი, სამხედრო სამსახურში დაბერებულნიც-კი ქვითინებდნენ. სამღვდელოთა შორის უფრო ემჩნეოდა მქადაგებელი შტეკერი, რომლის ნახვაც სიცოცხლეში არც ერთხელ არ მოინდომა ფრიდრიხმა. ეს მღვდელი ხან ვისთან მივიდოდა და მუსაიფობდა, ხან ვისთან. „ყველაფერზე ეტყობოდაო,—ამბობს დაცინვით ერთი გაზეთი,—თვით „მისი ქოლგაც-კი ამტკიცებდა, რასა ჰფიქრობდა შტეკერი, წინად სასახლის ეკკლესიის მქადაგებელი. ეს მღვდელი ჰფიქრობდა, რომ თუ აქამდე არა მეშველა-რა, იქნება ახლა მაინც მეშველოს და კარგად გამოვიდეო“.

## წვრილი ამბები

საზღვარ-გარეთის გაზეთებში მოყვანილია სხვა და-სხვა ამბები იმის შესახებ, თუ როგორ ეპყრობოდა იმპერატორი ფრიდრიხი მწერლობის წარმომადგენელთა. როცა ფრიდრიხი მემკვიდრე პრინცი იყო და პოტსდამის სასახლეში უმთავრესის გაზეთების რედაქტორები და თანამშრომლები ინახულა, გარის კაცნი გაკვირვებულნი იყვნენ თურმე, თუ აგრე ტკბილად, აგრე მშურად და მეგობრულად რად ეპყრობაო. ერთს ოფიციალურს დღესასწაულზე ბერლინში მემკვიდრე პრინცს შეუნიშნავს, რომ გაზეთების კორრესპონდენტები ცუდს ალაგას სხედან, მისულა და უკითხავს— კმაყოფილნი ხართ თუ არა თქვენ მიერ დაჭერილის ადგილებისაო?—კორრესპონდენტებს უარის ნიშნად თავი გაუქნევიათ და მემკვიდრე პრინცი გასჯავრებია წესისა და რიგის მიმცემთ: „ამ ბატონებს თქვენზედ წარჩინებული ადგილი უნდა დაუთმოთ, რადგან თუ ამათ არა დასწერეს-რა, ვერავინაც ვერ გაიგებს, რა ამბავიც იყო აქაო“. როცა მემკვიდრე პრინცი ისპანიაში მოგზაურობდა, გზაზე სულ ჟურნალისტებს ესაუბრებოდა და ებაასებოდა თურმე. ამათ შორის უფრო მოწყალედ ფრიდრიხი გამოჩენილს მეფელეტონეს ლიუდვიგ პიტჩის ეპყრობოდა თურმე. გარდაცვალებული იმპერატორი ფრიდრიხი ყოველთვის ჰკითხულობდა ხოლმე გაზეთ „Volkszeitung“-ს. ერთმა ვიღაც ახალმა კარის კაცმა მოიშალა ეს გაზეთი და სასახლისათვის მთავრობის მომხრე გაზეთი გამოიწერა. ფრიდრიხმა უბრძანა თურმე, რომ ნურავითარს ცვლილებას ნუ მოახდენთო. „თქვენო უდიდებულესობავ, ის გაზეთი, რომელიც არ გამოვიწერე, ნამდვილი სარევოლიუციო გაზეთია“. ამაზედ ფრიდრიხმა უპასუხა: «თავი დაანებეთ მაგას, ჩემო ბატონო. რასაც მთავრობა ჰფიქრობს, ის მეც კარგად ვიცი; მე იმის გაგება და შეტყობა მინდა, რასაც სხვები, გარეშენი ჰფიქრობენო!» როცა მარიენბურგში მეგლი აუგეს ფრიდრიხს დიდსა, მემკვიდრე პრინცს სიტყვა უნდა წარმოეთქვა. დაგვიანებული იყო. ერთის ბერლინელ გაზეთის თანამშრომლები ელოდნენ დეპეშით სიტყვას მემკვიდრე პრინცის ფრიდრიხისას. დასასრულ მოვიდა დეპეშა, მაგრამ სიტყვას ბოლო აკლდა. რე-

ფრთხილო ნიშნებად მეჩვენა. შევნიშნე, რომ დონა ანტონიაზედ ყმაწვილი კაცი ისე უდიერად და თავ-ალებულად არა ჰლაპარაკობდა, როგორც ჩვეულებადა ჰქონდა ქალებზედ ლაპარაკი. აშკარადა სჩანდა, რომ ჩემის მეგობრის მეუღლეს რობერტის ყურადღება მიექცია, ხოლო რა მხრივ, როგორ? შეყვარებული იყო, თუ, როგორც მოხერხებულს მონადირეს და თავისის უგრძნობლობით ძლიერს, მხოლოდ ხელში ჩაგდება უნდოდა იშვიათის სილამაზის ქალისა? ასე იყო თუ ისე, სულ ერთია, რობერტი ყოველ მხრივ საშიშოდ და სათრთხილოდ მიმაჩნდა... ჩემს გონებაში კვლავ დაიწყო გრგვინვა და გრიალი ხორხულომ, რომელსაც ჩემის მეგობრის ცხოვრების ყველა მოვლენას უკან ავუკვიატებდი ხოლმე, იმ ჩემის მეგობრისას, რომელიც ისე გულ-დანდობილი იყო თავისს ბედნიერებაზედ, რომ ეხლაც ვერა ჰგრძნობდა ფეხთ ქვეშ მიწის-ძვრასა და რყევასა.

ამ საკითხავმა ძალიან ჩამაფიქრა. ზოგიერთი კეკლუცი ქალები იმით იმარჯვებენ, რომ უგრძნობლები არიან და სიყვარული ვერ გაიტაცებსთ ხოლმე. ასევე უნდა ყოფილიყო მამაკაცთა შესახებაც. თუ რობერტს მართლა უყვარს ანტონია, ისეთი გაბედული აღარ იქნება და ქალს ადვილად ვერ შეაცდენს, ხოლო თუ ცბიერობს და ანგარიშ აქვს იქცევა, მაშინ უფრო საშიშია. კერძოდ მე ამ საქმეებში ძალიან მცირე ცოდნა და გამოცდილება მაქვს და ამიტომ ვნატრობდი, რომ რობერტი შეყვარებული ყოფილიყო. ხოლო რა მოხდებოდა, ანტონიაც რომ...

ღმერთო, როგორ აირ-დაირია ყველაფერი და რა არარაობაა ადამიანის გამოცდილება იმ სამუდამოდ გამოუცნობელ ამოცანის წინაშე, რომელსაც სიყვარულს ვეძახით!..

ცნობის-მოყვარეობამ და ყველაფრის ცოდნისა და გაგების სურვილმა ისე გამიტაცა, ისე დამიმორჩილა და არ მომასვენა, რომ მეორე დღესვე დონ კარლოსთან გავეშურე. სახლის უფროსი სხვაგან წასულიყო და ამიტომ ძალიან მესიამოვნა, რომ ანტონიასთან მარტოდ-მარტო ვიქნებოდი. ყმაწვილი ქალი დიდად გახარებული მომეგება და მადლობა გადამიხადა, რომ იმის წვეულებაზე დავესწრებოდი.

— თქვენ ისეთი კეთილი ხართ ჩემდა მომართ, ექიმო, რომ ყოველთვის მინდა გაგინაწილოთ ჩემი ბედნიერებაცა და სიხარულიც,—მითხრა ანტონიამ თავისის მშვენიერისა და მომხიბლავის ხმით. ამას გარდა კოტილიონი ისეთი მშვენიერება რამ არის, რომ უეჭველად თქვენგან მინდა შევიტყო, რამდენად უკეთა თამაშობენ პარიჟელი ქალები ჩემზედ.

— ჩემდა საუბედუროდ, ცუდი მსაჯული და მოწმე გახლავარ მაგისთანაებში. განა არ იცი, რომ კოტილიონი პარიჟში ჩემის წამოსვლის შემდეგ შემოიღეს?

— დონ რობერტო მარწმუნებს, რომ მშვენივრადა თამაშობთო. იმისი თავაზიანობაც რომ ანგარიშში ვიქონიოთ, მაინც მე ამ სიტყვებიდგან ის დასკვნა გამომყავს, რომ ცუდად არ უნდა ვთამაშობდე. რა მშვენიერი ყმაწვილი კაცია თქვენი თანამემამულე! დარწმუნებული ვარ, ექიმო, რომ იმის წლოვანებაში თქვენც სწორედ იმისთანა იქნებოდით.

— სცდები. ჩემი გარეგანი შეხედულობა...

— ო, არა, მე გარეგნობაზედ არ ვამბობ... ის ისეთისავე კეთილის გულისაა, როგორც თქვენ, ისეთივე თავაზიანია, ისეთივე პატივის-მცემელი ქალებისა, ისეთივე...

— განა დონ რობერტო ქალების პატივის-მცემელია?

— ისე მეკურებით, თითქო გეოცათ ეს ამბავიო. მაშ თქვენთან არას დროს არ ჩამოუგდია სიტყვა თავისს დედაზედ? მე-კი მაშინვე გულს ამიჩუყებს ხოლმე, დაიწყებს თუ არა დედაზედ ლაპარაკს.

— ჰმ... გველი ეპარება და მოხიბლეას უპირობს-მეთქი,—ჩავიბუტბუტე ჩემდა თავად, შემდეგ პირდაპირ დავაცქერდი ყმაწვილს ქალს და ხმამაღლა წარმოვსთქვი:—იცი, რომ დონ რობერტო ჩქარა აქედგან წასვლას აპირებს?

— წასვლას აპირებს?—განიმეორა ანტონიამ ისეთის კილოთი, რომ შევკრთი.

— დიაღ, წასვლასა. აქ იმიტომ მოვიდა, რომ სენისაგან განკურნებულიყო, და რაკი ეხლა აღარა უჭირს-რა, ჯან-საღად არის, ბიძა უკანვე იბარებს.

— მერე ისე წავა, რომ ჩემს წვეულებას არ დაესწროს?

— შეიძლება ეგრეც მოხდეს.

ანტონია ერთს წუთს ჩაფიქრდა. მე ვიჯექი, მაგრამ ვერ ვისვენებდი-კი, ვტოკავდი, თითქოს ნემსებს მიყრიდნენო.

— ეჰ, რა გაეწყობაო,—სთქვა ყმაწვილმა ქალმა, ლამაზი თავი გაიქნია და მშვიდის თვალებით შემომხედა.—მაშ რაკი ეგრეა, კოტილიონს ჩემთან ანტონიო ვალდეცი ითამაშებს: პირველ მოთამაშედ ითვლება ჩვენში.

მე ვაკოცე ანტონიას და წამოვედი. წინანდელმა ჩემმა ბაასმა დონ კარლოსთანა და რობერტთან მეტად დამაღონა, ამაღელვა და გული ამიჩქროლა, ხოლო დონა ანტონიას პასუხმა-კი სრულიად დამამშვიდა. პარიჟელი დაკოდილი იყო და, თქმა არ უნდოდა, საკმაო ტანჯვასაც გამოივლიდა. დონ კარლოსისა და დონ ანტონიასი-კი აღარა მეფიქრებოდარა; არხეინად ვიყავ. ძალიან მეწყინებოდა, ამათ რომ დამმართოდათ რამე. ცხადი იყო, რომ მშვენიერს ანტონიას კოტილიონის მეტი დარდი არა ჰქონდა-რა, არა აწუხებდა-რა. ვხედავდი ამას და აღტაცებული ვიყავ. აქვე ვიჩქარი დავუმატო, რომ ყმაწვილის ქალისაგან ჭეშმარიტების შესატყობრად ტყუილი სრულიად არ მიხმარია, რადგან მართლაც-და, როცა საფრანგეთის ელჩს შევატყობინე რობერტის განკურნება, მოიწერა, რომ რაც შეიძლება მექსიკისაკენ გამოეჩქაროსო. ყმაწვილი კაცი არა ჩქარობდა ბიძის ბრძანების ასრულებასა, და ვიცოდი კიდეც, რატომაც არა ჩქარობდა...

ორ-ანი

(შემდეგი იქნება)

დაქტორმა თავის თავად შესთხუზა ეს ბოლო, მიაკერა თავსა და ისე დაჰბეჭდა. მეორე დღეს მხოლოდ ეს გაზეთი იყო ერთად-ერთი გაზეთი, რომელშიაც სრული სიტყვა დაებეჭდათ მემკვიდრე პრინცისა. რედაქტორის გასაოცებლად მეორე დღეს ოფიციალურმა დეპეშამაც სწორედ ისეთი ბოლო მოიტანა თურმე, როგორიც ამათ შეეთხუზათ. აღმოჩნდა, რომ გაზეთის კორრესპონდენტს ადრევე მიელო სიტყვა, ხოლო გზაზე სიტყვის ბოლო დაჰკარგვოდა. სიტყვა-კი მარტო ერთს ეგზემპლიარად იყო დაწერილი. კრონპრინცი რადგან მჭევრ-მეტყველი მოქადაგე არ იყო, ადრევე სთხზავდა თურმე თავის სიტყვებს. გაეგო თუ არა ის უბედურება, რომ სიტყვის ბოლო დაუკარგავსთო, პრინცს სხვა ბოლო წაუკერებია. როცა ფრიდრიხმა გაზეთი მიიღო, რომელშიაც იმისი სიტყვა სრულიად იყო დაბეჭდილი, ღიმილით უთხრა თურმე შერცხვენილს კორრესპონდენტს: „იცით რა გითხრათ, თქვენი ბოლო ჩემსასა სჯობია. დღე ასევე დარჩეს. მე ჩემდა თავად ამაზედ უკეთესს ველარ შევსთხუზავო!"

— უკანასკნელის ბრძანების ძალით, რომელზედაც-კი ხელი მოუწერია იმპერატორს ფრიდრიხს, ლეიბ-გვარდიის რაზმის ჯარის-კაცებს ნება ეძლევათ წვერი ატარონ. აქამდე ამ რაზმში მოსამსახურეთ მარტო ულვაშის ტარება შეეძლოთ, წვერი უეჭველად უნდა მოეპარსათ ხოლმე.

— „Danziger Zeitung"-ი ამბობს, რომ პარასკევს დღეს, როცა დანციგში ამბავი მოვიდა იმპერატორის ფრიდრიხის გარდაცვალებისა, ერთმა მველმა ჯარის-კაცმა, რომელსაც საფრანგეთ-გერმანიის ბრძოლაში მონაწილეობა მიეღო, წამოიძახა: «ჩვენი იმპერატორი გარდაიცვალაო!» და იქვე უსულოდ დაეცა. ბოლოს აღმოჩნდა, რომ უეცარის მწუხარებისაგან გული გაჰხეთქოდა. მოხუცი ჯარის-კაცი იმპერატორის ფრიდრიხის ხელ-ქვეითა მსახურობდა თურმე, ჯერ მაშინვე, როცა იმპერატორი მემკვიდრე პრინცი იყო, და ძალიან აქებდა თავისს სარდალსა.

— ბუნების გამომკვლევარი ბელტი ამბობს, რომ მწერებს ძალიან უყვართ თავიანთი მასლობლები. ერთხელ ჭიანჭველების გროვას ვადევნებდი თვალყურსა და ერთს ჭიანჭველას ზედ პაწია კენჭი დავადე. მოუახლოვდა თუ არა მეორე ჭიანჭველა და თავისი მეგვარტომე გაჭირებულს მდგომარეობაში დაინახა, მაშინვე უკან გაეჩქარა და სხვა ჭიანჭველებს აცნობა ეს ამბავი. ასე მგონია იმიტომ, რომ ყველამ ერთად მოიყარა თავი, სცდილობდნენ განეთავისუფლებინათ როგორმე ამხანაგი და კარგა ხნის ჯაჯგურის შემდეგ გაანთავისუფლეს კიდეც. ამის შემდეგ მეორე ჭიანჭველას ქვის ნატეხი დავადე. შენიშნეს თუ არა მეორეებმა, დაუწყეს აქეთ-იქიდგან წევა და გაანთავისუფლეს ქვეშ მოყოლილი. მეორედ გამწკრივებული ჭიანჭველები ვნახე გზად. ერთი ავიყვანე, შორს დავსვი და ზემოდგან კენჭი დავადე. რამდენმამე ამხანაგმა ისე გაუარა გვერდზედ, რომ ვერა შენიშნეს-რა. ბოლოს ერთმა დაინახა, მივარდა და სცდილობდა როგორმე განენთავისუფლებინა. რომ ვერა მოახერხა-რა, რაც ძალი ჰქონდა საითკენღაც წავიდა. მე ასე მეგონა, რომ თავისს გაჭირებულს ამხანაგს თავი დაანება-მეთქი. ბოლოს ეს ჭიანჭველა ისევ გამოჩნდა და თან რამდენიმე მეგობარი მოიყვანა. მაშინვე მისცვივდნენ გაჭირებულს და გაანთავისუფლეს. ბ-ნი ბელტი ამბობს, რომ ამ გვარი მოქმედება მწერებისა მარტო ინსტინქტით არ აიხსნებაო.

# დეპეშა

15 ივნისი

**სიმფეროპოლი.** პურის მოსავალი ძალიან კარგია; მუშა ხალხი ცოტაა.

**ბერლინი.** დღეს პრუსიის სეიმის სხდომის დაწყებისათანავე იმპერატორმა აღთქმა დასდო, რომ კონსტიტუციის ერთგული ვიქნებიო, პატივსა ვცემ ერის წარმომადგენლობას, დავიცავ სამეფო უფლებათა და ღარიბებს გავუადვილებ გადასახადსაო. თავისი სიტყვა იმპერატორმა დაასრულა დიდის ფრიდრიხის სიტყვებით: „მეფე პირველი მსახურია სახელმწიფოსიო".

16 ივნისი

**პეტერბურგი.** გზათა მინისტრი გუშინ წავიდა ყირიმსა და კავკასიაში და უნდა დაათვალიეროს სხვა-და-სხვა შენობანი და დაესწროს აგრეთვე ნოვო-როსიისკის რკინის გზის შტოს მოქმედების დაწყებასა.

გუშინ გარდაიცვალა ცნობილი კომპოზიტორი ლიშინი.

„Свѣтъ"-ს გაუგონია, რომ მალე შემოიღებენ კანონს, რომელიც შეეხება სამრევლო-საეკკლესიო სკოლების გავრცელებას და წარმატებასაო.

**შანხაი.** კორეიაში რევოლიუცია თან-და-თან ვრცელდება და ძლიერდება. უცხოელმა გემებმა და რუსეთისამ გადასხეს სულაში ჯარის რაზმები უცხოელთა საელჩოთა დასაცველად. ფიქრობენ, რომ ეს რევოლიუცია ჩინეთის მანქანებამ გამოიწვიაო.

**ლონდონი.** გუშინ საზოგადოებათა პალატაში სჯა ჰქონდათ ლამანშის ქვეშ გვირაბის გაყვანის თაობაზე. ამ საგნის გამო კანონ-პროექტი ხელ-მეორედ იკითხებოდა. სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ჩვენ სრულიად წინააღმდეგნი ვართ მაგ პროექტისა, რადგან, მაგ შემთხვევაში ინგლისი დაჰკარგავს იმ მოხერხებულს მდგომარეობას, რომელიც დღეს უჭირავს, იმიტომ რომ კუნძულზე მდგომარეობსო; საფრანგეთთან, რასაკვირველია, მოკეთობა გვაქვს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგშიაც ეს მოკეთობა არ მოიშლება ჩვენში; მაგრამ ამ გარემოებას მაინც უნდა დავენდოთ, მეტადრე ეხლა, როცა მაგ ქვეყნის მერმისი ძლიან გამოურკვეველია და ბნელიო; ამასთანავე ევროპის მდგომარეობაც საზოგადოდ ძალიან საფიქრებელია. პალატამ 307 ხმის უმეტესობის წინააღმდეგ 165 უარ-ჰყო კანონ-პროექტი.

**სტამბოლი.** ოსმალეთმა დაამტკიცა კონვენცია სუეზის არხის გამო.

**ვენა.** ოფიციოზური გაზეთი „Fremdeblatt"-ი ამბობს, რომ პოლიტიკის კაცთა შორის ლაპარაკია, ვითომ რუსეთი და ავსტრია დაახლოვებას აპირობენ გერმანიის შემწეობითაო.

პეტერბურგის ბირჟა, 14 ივნისი

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 8 82 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 173½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1 36 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 274¾ |
| —მეორისა | — „ | — „ | 248½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | 98 |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | 98 |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | 82½ | — „ | — „ |

## სია

საქმეებისა, რომელიც უნდა განიხილოს საბჭომ პარასკევს, 17 ივნისს 1888 წ.

2. ანგარიში გამგეობისა წყლის გამყვან შენობის აგებაზედ.
3. მოხსენება გამგეობისა წყლის გამყვან მილის მომატებაზედ.
4. მოხსენება გამგეობისა ყორღანოვის მამულის ყიდვის გამო, რათა ამ მამულზედ საწყობი და სახელოსნო გაიმართოს, წყლის გამყვან მილისათვის საჭირო.
5. მოხსენებავე გამგეობისა, რომ ქალაქმა იყიდოს ყორღანოვის წყლის მილი და თითონ ამუშაოს.
6. თხოვნა ქ-ნის ლებედოვისა, რომ არტილერიის ქუჩა გასწორდესო.
7. თხოვნა ახვერდოვისა, რომ გაუკეთონ და განკარგდეს დიდი და პატარა „წყლის-საზიდავი" ქუჩები.

დასაწყისი საღამოს 7¾ საათზედ.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.
თიბათვე 30 დღით არის.

17 დღე პარასკევი. წამ. მანუილისა და საბასი. კათოლ. ეპ. ადოლფისა. მუსულ. მე-19 რიცხვი თვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 4—27, ჩადის 7—38. მთვარე 21 დღისაა.

18 დღე შაბათი. წამება ლეონტისა. კათოლ. მარკოსისა. მუსულ. მე-20 რიცხვი თვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 3—54, ჩადის 4—28. მთვარე 22 დღისაა.

## ვაჭრობის ცნობანი

ნიხრი

1 ივნისიდამ 1 ივლისამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 | › |
| „ 2 „ | 2½ | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 3½ | „ |
| „ „ 3 „ | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 | „ |
| მე-3 — | „ | „ |
| ძროხის ხორცი | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 8 | „ |
| ღორის ხორცი | „ | „ |
| „ 2 | „ | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სამხოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭირო არის, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი | მოდის წამი | გადის საათი | გადის წამი | სტანციები | მოდის საათი | მოდის წამი | გადის საათი | გადის წამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი | — | — | 8 | 49 | ბათუმი | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი | 0 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური | 11 | 02 | 1 | 17 | რიონი | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი | 7 | 08 | 7 | 10 | გომი | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო | 8 | 05 | 8 | 07 | გორი | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი | 11 | 13 | — | — | ტფილისი | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღისით | | | | | ღამით | | | |
| ტფილისი | — | — | 3 | 21 | სურამი | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა | 4 | 19 | 4 | 25 | გომი | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი | 5 | 24 | 5 | 29 | გორი | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური | 8 | 54 | 8 | 38 | ავჭალა | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი | 8 | 50 | — | — | ტფილისი | 8 | 24 | — | — |

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში:
ისტორიული მოთხრობა ქართველთა ცხოვრებიდა
„მარინე",
გადმოკეთებული ვალიკო გუნიას მიერ.
ფასი ექვსი შაური.

დაიბეჭდა და ისყიდება გაზეთ „მეურნის" გამოცემა
ვაზის ოიდიუმი
(მილდიუ ანუ ვაზის პერონოსპორა),
შედგენილი პ. ვიალას წიგნის ხელმძღვანელობით გ. ს—შვილის მიერ.
ფასი ორი შაური.

Доз. ценз. Тифлисъ, 16-го Іюня 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტ. მაგიერით. რ. ერისთავი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე